საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-111

ქ. თბილისი

25/01/2021

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის „ზესტაფონი-ქუთაისის“ 700 მმ დიამეტრის 23კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე (IV ეტაპი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 28 დეკემბერს სამინისტროს მომართა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2013 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის „ზესტაფონი-ქუთაისის“ 700 მმ დიამეტრის 23კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე (IV ეტაპი) გაიცა №28 (20.06.2013) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

2015 წელს ერთობლივი განცხადებით მომართვის საფუძველზე სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაზე“ გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გადაეცა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2013 წლის №28 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს 700 მმ დიამეტრის 23 კმ-იანი აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური

გაზსადენის „ზესტაფონი-ქუთაისის“ მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 27 ივნისის N№-81 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2013 წლის №28 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის „ზესტაფონი-ქუთაისის“ 700 მმ დიამეტრის 23კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე (IV ეტაპი) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №28; 20.06.2013);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს 700 მმ დიამეტრის 23 კმ-იანი აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის „ზესტაფონი-ქუთაისის“ მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 27 ივნისის N№-81 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი